ხელშეკრულება №37
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. წყალტუბო

7 მარტი 2018 წელი

ერთი მხრივ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის გრიგოლ იოსელიანის სახით სახით და მეორე მხრივ, ა(ა)იპ „მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა ეროვნული აკადემია" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი პრეზიდენტის თეიმურაზ ლანჩავას სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და "გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის 1 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის ფორმით დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურეობის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. გაზეთში „უქიმერიონი" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შესახებ საინფორმაციო მასალის (რეპორტაჟი, ინტერვიუ, ფოტომასალა და სხვა) გამოქვეყნება და 100 (ასი) ცალი გაზეთის „უქიმერიონი" (სულ 24 გვერდი, გარეკანი 4+1, 115 გრ. ცარცი, შიდა 20 გვერდი, 70 გრ. ოფსეტურ ფურცელზე) მიწოდება დანართის შესაბამისად (CPV22200000);

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1000 (ათასი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მისი გაფორმებიდან აჩაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მოსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს და მიღება - ჩაბარების აქტზე "შემსყიდველის" მხრიდან ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს.

.

6. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. მოსახურების მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მიერ მითითებულ მისამართზე.

6.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2018 წლის 15 მარტის ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მოსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მოსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,05 პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 20%-ის ოდენობით.

9.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 1 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 11.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ

11.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1.ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

14. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი

მის: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქუჩა №25
სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში
ხაზინის კოდი: TRESGE22
ა/ა №GE24NB0330100200165022
ს/კოდი: 221274546
მუნიციპალიტეტის მერი
გრიგოლ იოსელიანი

ბ. ა.

მიმწოდებელი:

ა(ა)იპ „მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა ეროვნული აკადემია"
მის: ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა №15
ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია"
ბ/კოდი: UGEBGE22
ა/ა №GE11VT0500000030043608
ს/კოდი: 412693278
პრეზიდენტი
თეიმურაზ ლანჩავა

ბ. ა.

საქონლის/მომსახურების დასახელება	რაოდენობა (ცალი)	ერთეულის ღირებულება (ლარი)	სულ ღირებულება (ლარი)
გაზეთში „უქიმერიონი“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შესახებ საინფორმაციო მასალის (რეპორტაჟი, ინტერვიუ, ფოტომასალა და სხვა) გამოქვეყნების მომსახურება	-	-	200
გაზეთი „უქიმერიონი“-ს (სულ 24 გვერდი, გარეკანი 4*1, 115 გრ. ცარცი, შიდა 20 გვერდი, 70 გრ. ოფსეტურ ფურცელზე) მიწოდება	100	8	800
სულ :			1000 ლარი

ა(ა)იპ „მწერალთა, ხელოვანთა და
მეცნიერთა ეროვნული აკადემია"

პრეზიდენტი: თეიმურაზ ლანჩავა

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ხელმომწერი პირ(ებ)ი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და ა(ა)იპ „მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა ეროვნული აკადემია"-ს შორის 2018 წლის 7 მარტს გაფორმებული №37 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებაზე კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელებაში მათი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

უფლებამოსილი პირები: _____ ვახტანგ ნადარეიშვილი

_____ მირანდა მამისეიშვილი

_____ შოთა ნუცუბიძე